EEU

სტუდენტთა კონტინგენტის ოდენობის განსაზღვრისა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია

დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 07 თებერვლის №08/01-08 ბრძანებით;
განახლებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 30 ნოემბრის №07 დადგენილებით

1. დოკუმენტის მიზნები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტთა კონტინგენტის ოდენობის განსაზღვრისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია (შემდგომში - „მეთოდოლოგია“) განსაზღვროს უნივერსიტეტში სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობის დაგეგმვასთან და მონიტორინგთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და პროცედურას, სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და სამიზნე ნიშნულებს. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

2. დოკუმენტის გამოყენების სფერო

მეთოდოლოგია გამოიყენება უნივერსიტეტში ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისას, უნივერსიტეტის ყოველწლიური შეფასებისას, სტუდენტთა გარე მობილობის, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა ანდა არსებულის განახლების, აგრეთვე ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით სტუდენტთა ოპტიმალური კონტინგენტის გამოანგარიშებისათვის და საჭირო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დასადგენად.

3. სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრის პროცესის წარმართვაზე პასუხიმგებელი ერთეულები

სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის დაგეგმვის, მართვისა და განვითარების პროცესების ზოგად მართვაზე პასუხიმგებელია უნივერსიტეტის რექტორი.

სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის დაგეგმვასა და მისი განხორციელების პროცესის მონიტორნგს უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში ჩართული ერთეულები/პირები:

ა) ფაკულტეტები;

ბ) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტი;

გ) რექტორის მიერ განსაზღვრული ერთეულები/პირები საჭიროების შემთხვევაში.

4. სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრის პოლიტიკა

სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრის პოლიტიკა (შემდგომში - „პოლიტიკა“) ეყრდნობა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ პოლიტიკებსა და პროცედურებს, აგრეთვე უნივერსიტეტში დაგროვებული და საერთაშორისო გამოცდილებას.

სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას, ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ყაირათიან გამოყენებას, აგრეთვე უნივერსიტეტის მუშაობასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციას.

სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრისას უნდა გათვალისწინებული იქნეს:

- სამიზნე ჯგუფების არსებული და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული რაოდენობები;
- უნივერსიტეტის რესურსული პოტენციალი.

სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრის პროცესი მოიცავდეს როგორც გეგმარების, ასევე მონიტორინგის პროცედურებს. მათ შორის:

1. გეგმარებიც ციკლის საქმიანობას წარმოადგენს:
   - მისაღები კონტინგენტის ოდენობის განსაზღვრა - წელიწადში ერთხელ;
   - სტუდენტთა გარე მობილობის ოდენობის განსაზღვრა - წელიწადში ორჯერ;
   - ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა ანდა არსებულის განახლება - საჭიროებისამებრ.
2. მონიტორინგის ციკლის საქმიანობას წარმოადგენს:
   - უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასება - წელიწადში ერთხელ;
   - სტრატეგიული გეგმის შედეგების შეფასება - 7 წელიწადში ერთხელ ან სტრატეგიულ გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, რომელიც სავარაუდო ზეგავლენას მოახდენს სტუდენტური კონტინგენტის ოდენობაზე.

სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრა უნდა ეყრდნობოდეს უნივერსიტეტის ადამიანური, მატერიალური რესურსების სულ მცირე ბოლო ხუთი წლის მონაცემებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და იძლეოდეს მტკიცებულებაზე დაყრდნობილი შედეგებს, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს სტატისტიკური მათემატიკის მოდელირების მეთოდები.

სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრის პროცედურა სავალდებულოა წარიმართოს როგორც მთლიანად უნივერსიტეტის დონზე, ასევე თითოეული ფაკულტეტისთვისაც, რათა უკეთ მოხდეს არსებული სურათის დანახვა და სანდო მონაცემებზე დაყრდნობით მოხდეს საქმიანობების სამომავლო დაგეგმვა, მათ შორის:

- სტუდენტური კონტინგენტის განსაზღვრა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოდენობის შესაბამისობის განსაზღვრა;
- ინფრასტრუქტურის გამტარიანობის განსაზღვრა;
- დამხმარე და რეკრეაციული ზონების არსებულ კონტინგენტთან შედარებით რელევანტურების განსაზღვრა.
- და სხვა პარამეტრები რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობას და უნივერსიტეტის მდგრადობას.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის ან/და არსებულის განახლების დროს უნდა განისაზღვროს

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, აგრეთვე დადგინდეს სავარაუდო სტუდენტური კონტინგენტის ოდენობა, რომელიც ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით. მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით ფაკულტეტის საბჭოსა მიერ უნდა შეფასდეს ადამიანური და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა და საჭიროების შეთხვევაში მოხდეს ფაკულტეტზე სტუდენტთა კონტინგენტის ოდენობის ხელახალი განსაზღვრა.

5. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ადგენს უნივერსიტეტში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესს, რომელიც ერთის მხრივ, მოიცავს შესაბამისი სამიზნე ჯგუფების რაოდენობებისა და პროგნოზირებისთვის საჭირო მონაცემების გათვალისწინებას, ხოლო, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის რესურსული პოტენციალისა და შეთავაზებული სერვისების ანალიზს, რაც გულისხმობს კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებას. აგრეთვე საჭიროა გათვალისწინებული იქნეს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები და სტუდენტთა კონტინგენტის პროცესში გამოსაყენებელი მინიმალური მახასიათებლები.

სამიზნე ჯგუფების რაოდენობისა და პროგნოზირებისათვის გამოყენებულია მრავალ ფაქტორიანი რეგრესული განტოლება.

$$y_t = \beta_0 + \beta_1 X_{1t} + \beta_2 X_{2t} + \beta_3 X_{3t} + \beta_4 X_{4t} + \beta_5 X_{5t} + \mu_t$$

სადაც,

y_t - უნივერსიტეტში სტუდენტების რაოდენობა t დროში;

X_{1t} - ჩარიცხული სტუდენტების (საქართველოს მოქალაქე) რაოდენობა t დროში;

X_{2t} - უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების რაოდენობა t დროში;

X_{3t} - უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების რაოდენობა t დროში;

X_{4t} - მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა t დროში;

X_{5t} - სტატუსაღდგენლი სტუდენტების რაოდენობა t დროში;

μ_t - შეცდომის პირობა.

უნივერსიტეტის რესურსული პოტენციალის შეფასება ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

- სტუდენტური კონტინგენტი
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს/ბაზებს (უძრავი და მოძრავი ქონება);

- ☐ ადამიანურ რესურსს (ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული, დამხმარე პერსონალს და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა პირებს; პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური/ აკადემიური/ მოწვეული პერსონალის რაოდენობების თანაფარდობების გათვალისწინებით.)

5.1 სტუდენტური კონტინგენტი:

- ☐ უსდ-ბის ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი სტუდენტური კონტინგენტის ზღვრული მნიშვნელობა;
- ☐ სტუდენტების არსებული რაოდენობა;
- ☐ სტატუს შეჩერებული სტუდენტების აღდგენის ბოლო 4 წლის სტატისტიკა;
- ☐ გარე სტუდენტური მობილობის ბოლო 4 წლის სტატისტიკა;

5.2 მატერიალურ რესურსები:

- ☐ საერთო სასწავლო ფართი (სასწავლო აუდიტორია, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, საკონფერენციო დარბაზი, საპროფესორო, სადაც სტუდენტებს პროფესორები უწევენ კონსულტაციებს);
- ☐ ბიბლიოთეკის საერთო ფართი;
- ☐ წიგნადი ფონდი;
- ☐ საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა;
- ☐ ადმინისტრაციული სათავსოების ფართი;
- ☐ სანიტარული კვანძები;
- ☐ ლაბორატორიების ფართი;
- ☐ სასადილოს ფართი;
- ☐ შენობის ფართი;
- ☐ სააქტო/სპორტული დარბაზის ფართი;
- ☐ მიწის ფართი.

5.3 ადამიანური რესურსები

- ☐ აკადემიური პერსონალი;
- ☐ მოწვეული სპეციალისტები;
- ☐ სამეცნიერო პერსონალი;
- ☐ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;

6. სტუდენტთა კონტინგენტის პროცესში გამოსაყენებელი მინიმალური მახასიათებლები

სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. ერთ სტუდენტზე უნდა მოდიოდეს არანაკლებ 2 კვ. მეტრის სასწავლო ფართი, არანაკლებ მათ 0,5-1კვ. მ. დამხმარე ფართისა.

2. საგანმანთლებლო პროგრამების რაოდენობის მიხედვით სტუდენტური კონტინგენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა:

   - 1-დან 5-მდე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან უნდა იყოს არაუმეტეს 1/15-სა.
   - 6-დან 15-მდე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან უნდა იყოს არაუმეტეს 1/20-სა.
   - 16 და მეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან უნდა იყოს არაუმეტეს 1/26-სა.

3. სტუდენტური კონტინგენტისა და ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა: სტუდენტების რაოდენობა ერთ ადმინისტრაციულ პერსონალზე უნდა მოდიოდეს არაუმეტეს 1/33-სა, მათ შორის პერსონალის არანაკლებ 50% უნდა იყოს სტუდენტური სერვისების განმახორციელებელი.

4. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან სტუდენტთა ხელმისაწვდომობა: კომპიუტერების რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან უნდა იყოს არაუმეტეს 1/25-სა.

5. ბიბლიოთეკაში სამუშაო ადგილების რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან უნდა იყოს არაუმეტეს 1/35-სა.

6. სტუდენტთა საერთო რაოდენობის განსაზღვრისა და დაგეგმვის პროცესში ყურადღება ექცევა ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისადმი განსაზღვრულ მოთხოვნებსა და საჭიროებებს (სპეციალური ლაბორატორიები, სახელოსნოები, კლინიკები, იმიტირებული სასამართლო დარბაზი და სხვა).

6.1. მედიცინის საგანმანათლებლო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის პროცესში გამოსაყენებელი მინიმალური მახასიათებლები

1. მედიცინის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

   - დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები;
   - საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა;
   - დაწესებულების, პრაქტიკის ობიექტების, ლაბორატორიული და კლინიკური ბაზების რესურსები.

2. გარდა წინამდებარე დოკუმენტის მე-6 პუნქტში მოყვანილი სტუდენტთა კონტინგენტის დათვლის პროცესში გამოსაყენებელი მინიმალური მახასიათებლებისა, მედიცინის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი

მაჩვენებლები:

- ☐ საუნივერსიტეტო/სასწავლო სამედიცინო დაწესებულებებში - ამბულატორიული ან/და სტაციონარული სერვისების მიმწოდებელ კლინიკებში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მისაღები სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობა;
- ☐ კონტინგენტის საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკასა და/ან აფილირებული კლინიკაში (ხელშეკრულების საფუძველზე), პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის/კურაციის განმავლობაში შემდეგი მაჩვენებლები:
    - თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის
    - ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის
    - მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის
    - პედიატრიის დეპარტამენტში - დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის
    - რეანიმაციის/ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 6 სტუდენტის
- ☐ საუნივერსიტეტო და აფილირებულ კლინიკაში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.
- ☐ კლინიკური საგნების სწავლებისათვის საუნივერსიტეტო და აფილირებულ სასწავლო კლინიკებში უზრუნველყოფილი სასწავლო ფართი.
- ☐ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისთვის ლაბორატორიის და/ან სხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორატორიის გამტარიანობა - არანაკლებ 5 სტუდენტისა;

7. სტუდენტთა კონტინგენტის პოტენციალის შეფასების პროცესის განხორცილება

გამოყენებული მრავალფაქტორიან რეგრესული განტოლების გამოყენებით მოდელირების შედეგად, არსებული ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე დაყრდნობით, ასევე უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით ხორციელდება უნივერსიტეტის სტუდენტური კონტინგენტის პოტენციალის შეფასება.

მოდელირების შედეგად უნდა დადგინდეს:

1. საკმარისია, თუ არა არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების ოდენობა უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმის სამიზნე ნიშნულებით განსაზღვრული სტუდენტური კონტინგენტისთვის ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისების მისაწოდებლად;
2. ხომ არ დგას საჭიროება, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინოს განაცხადი, რათა განისაზღვროს სტუდენტური კონტინგენტის ახალი ოდენობა;
3. ხომ არ გამოიწვევს გარე მობილობა უნივერსიტეტისათვის დადგენილი სტუდენტური კონტინგენტის ზღვრული ოდენობის გადამეტებას;

4. ხომ არ დადგება საკითხი უნივერსიტეტში ორზე მეტ ცვლაში სტუდენტთა ნაკადების მართვის საჭიროებისა;
5. სხვა საკითხები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დადგენილი სტუდენტური კონტინგენტის ზღვრული ოდენობის გადამეტება.

დამდგარი შედეგებისა და რისკების გათვალისწინებით უნივერსიტეტის და მისი საგანმანათლებლო ერთეულების ადმინისტრაცია გეგმავს შესაბამის ქმედებებს.

8. სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის გადახედვა

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის საკითხებში იძლეოდეს მტკიცებულებაზე დაყრდნობილ გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, რეალისტურად ასახავდეს მოსალოდნელ შედეგებს და უზრუნველყოფდეს უნივერისტეტის წინაშე არსებული რისკების პრევენციასა და მდგრად განვითარებას, რისთვისაც ყოველ 3 წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელდეს:

1. სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის გადახედვა, რომლის ფარგლებში შეფასდეს მათემატიკური მოდელის სანდოობა და ეფექტიანობა.
2. არსებული სტატისტიკური მონაცემებზე და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეფასდეს სტუდენტთა კონტინგენტის პროცესში გამოსაყენებელი მინიმალური მახასიათებლები;
3. შეფასდეს სტუდენტთა კონტინგენტის ოდენობის განსაზღვრის პროცესში გამოსაყენებელი მონაცემთა შეგროვების სისტემის ეფექტიანობა.

დამდგარი შედეგების მიხედვით საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს მეთოდოლოგიის და მინიმალური მახასიათებლების კორექტირება და დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

9. საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია

1. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

   ა) მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა;

   ბ) სტუდენტების არსებული რაოდენობა;

   გ) სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა;

   დ) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა;

   ე) პარტნიორი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკა.

2. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უნდა შეადგენდეს პროგრამის სრული მოცულობის არანაკლებ 50%-ს. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა სწავლის შედეგები მოითხოვს სპეციფიკური

პროფესიული/პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მქონე პერსონალის მოწვევას და/ან სწავლებას მცირერიცხოვან ჯგუფებში.

3. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის არანაკლებ 30% უნდა იყოს აფილირებული აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან.
4. მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა დგინდება მათ მიერ განსახორციელებელი სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების შესაბამისად.
5. პროგრამის ხელმძღვანელი ყოველი სემესტრის დაწყებამდე, არანაკლებ 14 კალენდარული დღისა, მას შემდეგ, რაც სრულად იქნება დატვირთული აფილირებული და აკადემიური პერსონალი, ახდენს იდენტიფიკაციას იმ საგნების და შესაბამისი დატვირთვის, რომელიც უნდა ჰქონდეს მოწვეულ პერსონალს, თითოეული მათგანისათვის შეიქმნება სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს მათი საქმიანობის შინაარსსა და მოცულობას საათებში. აღნიშნული სამუშაო აღწერილობის შინაარსი არის ცვალებადი სემესტრული დატვირთვის შესაბამისად და წარმოადგენს მათთან დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.